EU-GEORGIA BUSINESS COUNCIL

EU-Georgia Business Council
ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო

38-40 Kobuleti Street, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: +995 (32) 2 90 36 91 ● E-mail: secretariat@eugbc.net ● www.eugbc.net

30 ივნისი, 2020 წ.
1/171-2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

ქალბატონო თამილა,

გაცნობებთ, რომ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) ორგანიზებით, მიმდინარე წლის 16 ივლისს 12:00 საათზე, აქსის თაუერსის ღია სივრცეში (ი. ჭავჭავაძის გამზ #37მ) გაიმართება დიალოგი ბიზნესთან - „ბიზნესის განვითარების პერსპექტივები და კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობები“ *(შეხვედრის ხანგრძლივობა დაახლ 90 წთ.).*

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე ძირითადად განხილულ/წარმოდგენილ იქნას შემდეგი საკითხები: ბიზნესის მხარდაჭერისათვის საქართველოს მთავრობის განახლებული პროგრამები; „კოვიდ 19“-ის გავრცელების გამო ბიზნესის ახალი გამოწვევები; ზარალის მინიმიზაციისა და ეკონომიკის აღდგენისათვის საჭირო აქტივობები/დამატებითი ღონისძიებები; ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი; ბიზნესის განვითარების ახალი შესაძლებლობები.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ღონისძიების ოფიციალურ გახსნაში თქვენი მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანი იქნება. *პროგრამის პროექტი თან ერთვის.*

გთხოვთ თქვენს გადაწვეტილებას.

პატივისცემით,

ზვიად ჭუმბურიძე, ელჩი
გენერალური მდივანი

Core Members